საპროექტო ტერიტორიის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

თბილისი, კოსტავას ქ. № 27



შემსრულებელი:

ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი,

შ.პ.ს. „ძველი უბანი“
აპრილი
2006

საპროექტო ტერიტორიის აღწერა

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს თბილისის ისტორიული ნაწილის ვერეს უბანში, კოსტავას ქუჩაზე, ვერის ბაღის შესასვლელთან (მთაწმინდა-კრწანისის რ-ნი). აქ დგას სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი №27, რომელიც განთავსებული იყო ქუჩის პერიმეტრზე ჩამწკრივებულ შენობათა რიგში. 1970-იან წლებში ჩატარებული უბნის რეკონსტრუქციის დროს კოსტავას ქუჩაზე დაინგრა ამ სახლის მომდევნო რამდენიმე შენობა და ვერის ბაღი გაიხსნა ფართო პლანით, რომლის წინ მოეწყო ვრცელი მოედანი.

პროექტით გათვალისწინებულია შენობის გაფართოება მოედნის მხარეს და ზემოდან სამანსარდო სართულის დაშენება.



საპროექტო ადგილი ვერის ბაღის შესასვლელთან

მ. კოსტავას ქუჩა აქ ოდნავ ვიწროვდება. საპროექტო ტერიტორიის მოპირდაპირე მხარეს 1971 წელს აგებული სახელმწიფო ფილარმონიის შენობაა, რომელიც შუშის გრანდიოზულ ცილინდრს წარმოადგენს პ. მელიქიშვილისა და მ. კოსტავას ქუჩების გასაყარზე. აქ ადრე იდგა 1929 წელს აგებული მსხვილმასშტაბიანი საცხოვრებელი სახლი.

ფილარმონიის დიდი დარბაზი 2500 კაცს იტევს. გეგმით ნალისებური მოხაზულობისაა და სიგანეშია განვითარებული. ფოიე სალტესავით ეკვრის დარბაზს. აქედან ქალაქისკენ გახსნილი ხედია. ფოიე აერთიანებს შიდა სივრცეს გარემომცველ პეიზაჟთან.

შესასვლელის წინ მოწყობილ ოვალურ, ამაღლებულ ბაქანზე „მუზას“ დეკორაციული ქანდაკებაა აღმართული. როტონდის შემინულ ცილინდრულ ფონზე ქანდაკება მკვეთრ ვერტიკალურ აქცენტად აღიქმება.

საპროექტო ტერიტორიის გვერდით ორსართულიანი საცხოვრებელი სახლია მოგვიანებით ეზოს მხრიდან დაშენებული მანსარდის სართულით (№35). იგი უხვად არის მორთული ნაძერწი ელემენტებით. ეს შენობა XX ს-ის დასაწყისის ეკლექტიკური ნაგებობაა, რომელიც თავისი მასშტაბითა და მხატვრული სახით კარგად ეწერება ქუჩის განაშენიანებაში.

ამ სახლებს შორის არცთუ ვრცელი მონაკვეთია დატოვებული, რომელიც ერთგვარ სივრცობრივ პაუზას ქმნის და რამდენადმე ამსუბუქებს გაჭედილობის შთაბეჭდილებას (იხ. აქვე სააღრიცხვო ბარათები).



ა ე რ ო ფ ო ტ ო 1990-იანი წწ.

საპროექტო ტერიტორია

ამ უბანში არის არქიტექტურული ძეგლები და ძეგლის ნიშნის მქონე ნაგებობები (ძ.ნ.მ.):

კოსტავას ქ. – ძეგლები: №№25,27,35,38,41,43. ძ.ნ.მ. №№23,40,42;
მელიქიშვილის ქ. – ძეგლი №1 ფილარმონიის შენობა;
ნ. ნიკოლაძის ქ. – ძეგლი №3, ძ.ნ.მ. № 10.
ყველა ეს ნაგებობა საპროექტო ტერიტორიის ირგვლივ არიან განლაგებულნი და რამდენიმე მათგანი ადიქმება მასთან ერთიან კონტექსტში.

ვერეს უბნის ისტორიულ-არქიტექტურული განვითარება

XIX ს-ში დღევანდელი ვერეს ქვედა უბნის ადგილას, თბილისის ჩრდილო-დასავლეთ შემოგარენში, მთის დამრეც კალთაზე შეფენილი იყო სოფელი ვერე (სახელწოდება მიიღო მდინარე ვერესგან, იგივე სკვირეთი). სოფლის ქვედა სანახებს მიუყვებოდა თბილისიდან ვერეს ხევისკენ წამოსული დიღმის გზა (დღევანდ. მ. კოსტავას ქუჩა). იქვე ფერდობზე მდებარეობდა ვერეს სასაფლაო.

თბილისის გეგმები



ვერეს უბნის განაშენიანება დაიწყო XIX ს-ის II ნახევარში და ფაქტობრივად დასრულდა XX ს-ის 20-იანი წლებისთვის. XIX ს-ის დასასრულისთვის დაისახა ამ უბნის მთავარი ღერძები – ოლღას (კოსტავას) და წყნეთის (მელიქიშვილის) ქუჩები. ამ ვექტორების ზედა და ქვედა ფერდობებზე თანდათან ისახებოდა ქუჩების ქსელი.

სოფ. ვერე 1844წ.

საპროექტო ტერიტორია



1867წ.

- *განაშენიანების გეოგრაფიული ხასიათი*

ქუჩათა ქსელის ფორმირებას განაპირობებდა არსებული რელიეფი და გზები მიმართული დიღმისკენ და წყნეთისკენ. უბნის დახრამულმა ნაწილებმა განაპირობა ნაკლებად რეგულარული და თავისუფალი მოხაზულობის ქუჩები.

თბილისის 1867 წლის გეგმაზე **სოფ. ვერეს** ტერიტორიაზე უკვე დაპროექტებულია მომავალი ქუჩების ქსელი, სადაც რეგულარული ქუჩებით შევსებულ მონაკვეთებთან ერთად, ჩანს, ძველი, ირეგულარული გეგმარების ფრაგმენტები, თუმცა რეალურად ეს ქუჩები ურბანული სახით ჯერ არ არსებობდა. თბილისის მომდევნო გეგმებზე კარგად ჩანს ქუჩათა ქსელის ჩამოყალიბება.

- *განაშენიანების არქიტექტურული ხასიათი*

XIX-XX სს-თა მიჯნაზე მთელს ვერეს უბანში ინერციულად მიმდინარეობს თბილისში უკვე აპრობირებული არქიტექტურული რეპერტუარის რეალიზება.

XX ს-ის დასაწყისში, მთლიანად შენდება ვერეს სასაფლაოს მიმდებარე ოლღას (კოსტავას) ქუჩა. ქუჩის პერიმეტრებს აქ მიუყვებოდა ხარისხიანი არქიტექტურის, სოლიდურ ფასადებიანი, ორ-სამსართულიანი საცხოვრებელი სახლები და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები.

ვერეს ამ ნაწილში, XX ს-ის 20-იანი და ძირითადად 50-60-იან წლებიდან იწყება მსხვილმასშტაბიანი საცხოვრებელი სახლების და დაწესებულებების მშენებლობა. სასაფლაოს ადგილას ვერის ბაღის მშენებლობისას მოიშალა აქ არსებული ვიწრო ქუჩები, დღევანდელი ფილარმონიის ადგილას კი აშენდა მსხვილმასშტაბიანი საცხოვრებელი სახლი. 1970-იანი წლებიდან გაგრძელდა წვრილი ურბანული სტრუქტურების ერთგვარი „გამოხშირვა“ და ფართო სივრცითი არეების შექმნა. აიგო ფილარმონიის შენობის მინის მასიური როტონდა, მოინგრა შენობები სასტუმრო „მუზის“ გვერდით და შეიქმნა ფართო სივრცითი არეები. უბანმა მიიღო დღევანდელი სახე, გაიხსნა და გაშლილი პლანით წარმოჩინდა.

- *ვერეს ბაღი*

ვერის, ყოფილი ს. კიროვის სახელობის, ბაღი მდებარობს მ. კოსტავასა და ნ. ნიკოლაძის ქუჩათა გადაკვეთაზე ყოფ. ვერის სასაფლაოს ტერიტორიაზე.

თანამედროვე ბაღის ადგილას იყო სახნავი მიწები და ხეხილის ბაღები, რომლებიც მდ. ვერეს შესართავამდე გრძელდებოდა. ლურჯი მონასტრის მიმდებარე მიწები მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ეკუთვნოდა ცნიბილ ქართველ მოგზაურს რაფიელ დანიბეგაშვილს, შემდეგ გადაიქცა სასაფლაოდ. პარკის გარკვეული ფართობი XIXს. ბოლოს მღვდელ გამდლიშვილის საკუთრებას წარმოადგენდა და დღევანდელ აბრეშუმკომბინატამდე აღწევდა; გამდლიშვილს ბაღისთვის გალავანი შემოუვლია (რომლის ნაწილები დღესაც შემორჩენილია).

1898 წ. საქართველოს ეგზარხოსმა ფლაბიანემ ნება დართო ქალაქის გამგეობას ვერის სასაფლაოს ტერიტორიაზე ბაღი გაეშენებინა.

ბაღის მშენებლობა დაიწყო მოგვიანებით, აგრონომ-დეკორატორის ა. მაჭავარიანის პროექტითა და ხელმძღვანელობით – 1933წ; XX ს-ის II ნახ-ში ბაღში გაშენდა სპორტული კომპლექსი, რომლის შემადგენლობაშიც შედის სპორტული დარბაზი კალათბურთისა და ფრენბურთისათვის, კრივის დარბაზი, ჭადრაკის სასახლე, ოთხი საჩოგბურთო მოედანი, ქალაქის პენსიონერთა საჭადრაკო კლუბი, ალპური კლუბი და სხვა.

მ. კოსტავას (თავდაპირველად ოლღას, შემდეგ ვ. ლენინის) ქუჩა წარმოიქმნა XIXს-ის მეორე ნახევარში მცხეთიდან თბილისისკენ მომავალი უძველესი გზის მიმართულებით. ეს გზა აღნიშნულია თბილისის 1844 წ-ის გეგმაზე. თბილისის 1867 წლის გეგმაზე ქუჩა უკვე დაპროექტებული ჩანს და სახელიც ჰქვია (ოლღას ქ.), თუმცა ურბანული ქუჩის სახე მან მხოლოდ XIX ს-ის ბოლოს მიიღო.



1890-იანი წწ. ოლღას ქუჩის მონაკვეთი და ჯვრის დაღმართი
საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივის ფონდი ©

ზედა გეგმაზე უკვე ჩანს, რომ **ოლღას** ქუჩის დიდი ნაწილი განაშენიანებულია, ქვედა გეგმაზე (1902წ) ჩანს, რომ განაშენიანება აღწევდა დღევანდელ ნ. ნიკოლაძის ქუჩამდე.



1902 წ.



ვერეს უბნის ფრაგმენტი, XX ს-ის დასაწყისი.
საქართველოს ცენტრალური კინო-ფოტო-ფონო არქივის ფონდი ©

XX ს-ის დასაწყისში, ეს მონაკვეთი უკვე ურბანიზებული სოფ. ვერეს უბანია. ოლდას ქუჩა მთლიანად განაშენიანებულია. ვერეს ეს ნაწილი და საპროექტო სახლი, მის მიმდებარე განაშენიანებითურთ, ასახულია XX ს-ის დასაწყისის ფოტოზე.



1913 წლის გეგმაზე საპროექტო ტერიტორიის გვერდით 12ა ნომრით აღნიშნულია საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს შენობა.

ანალოგიური ხასიათის ინარჩუნებს განაშენიანების სტრუქტურა 1970-იან წლებამდე, ვიდრე არ მოხდა ვერის ბაღის წინ არსებული ვიწრო ქუჩების და მცირე ურბანული სტრუქტურების გამოხშირვა და ფართო მოედნის ჩამოყალიბება.



ვერეს უბნის ფრაგმენტი, 1960-იანი წწ.
საქართველოს ცენტრალური კინო-ფოტო-ფონო არქივის ფონდი ©

ამგვარი სახე ჰქონდა მოედანს ფილარმონიის შენობის აგებამდე. აქ ჩანს კაფე „გაზაფხული“ ავტობუსების დღევანდელი გაჩერების გვერდით და მის უკან საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე ორსართულიანი შენობის კედელი. ეს შენობა კაფესთან ერთად აიღეს 1970-იანი წლების დასაწყისში.



1970-იანი წწ. დასაწყისის გეგმა

ეს ვითარება ასახული 1970-იანი წწ. დასაწყისის თბილისის გეგმაზე. აქ ჯერ კიდევ დაფიქსირებულია მცირე შესახვევი ვერის (მაშინდელი კიროვის) ბაღის წინ და ნაგებობები.



ფასადი კოსტავას ქუჩიდან

შენობა წარმოადგენს XX ს-ის დასაწყისში აგებულ აგურის სამსართულიან ნაგებობას. ქუჩის პირზე გამოდის მოდერნის ტიპის ფასადი პროფილირებული მართკუთხა ღიობებით და ლითონის კიდული აივნებით. ზემოთ იკვრება პროფილირებული პარაპეტით, რომელიც ფლანგებზე ამაღლებულია ფრონტონის მაგვარი წანაზარდებით. ფასადის მხატვრულ სახეს განსაზღვრავს მოდერნისტული სტილიზებული ფორმები და ბაროკოული კვეთილი სახეები (მასკარონები, როკაილები). სტილიზებული ფორმები სიმეტრიულად არის განაწილებული და ფასადს ანაწევრებს, როგორც თარაზულად, ასევე შვეულადაც. შემორჩენილია აივანზე გასასვლელი კარების თავდაპირველი ალათები. სადარბაზოს შესასვლელში კი ლითონის ალათებიანი მინის ახალი კარია. ასევე განახლებულია მინის ვიტრინებით I სართულის ფართო ღიობები. ფასადი ახლახანს არის შეკეთებული და დაფერილია ღია სალათისფრად.



ეზოს მხარის ფასადი ვერის ბაღიდან

ეს ნაგებობა რუსული Г-ს ფორმის გეგმარებითი სტრუქტურით, სიმეტრიაშია გვერდით მდგომ სახლთან (№35) და ვერის ბაღიდან გამიჯნულია მაღალი გალავნით. ეზოს ფასადის გრძელი მონაკვეთის სართულებზე ლითონის ახალი გალერეა-აივანია. მოკლე, ასევე ადაპტირებულ შვერილის ფასადზე, ვერის ბაღის მხარეს რკინა-ბეტონის შემინული ერკერია.



მოედნისკენ გამომავალი გვერდითი ფასადი ყრუა, რადგან ამ მხრიდან თავდაპირველად მიდგმული იყო მეზობელი ნაგებობა. რამდენიმე ათეული წელია რაც ამ მოკლე ფასადზე სარეკლამო ფართო ფირნიშია გაკრული (1970-იან წლებში მეზობელი შენობის აღების შემდეგ).



გვერდითი ფასადი, ვერის ბაღის შესასვლელი



სახლები №27 და №35 ვერის ბაღის მხრიდან

შენობა №27 XX ს-ის დასაწყისის ნაგებობაა, რომელიც თავისი მასშტაბითა და მხატვრული სახით კარგად ეწერება ქუჩის განაშენიანებაში.

დასკვნა და რეკომენდაციები

ამგვარად ამ უბნის განაშენიანების დღევანდელი სახე იმ ისტორიულ-სოციალური და მხატვრულ-არქიტექტურული ფაქტორების შედეგია, რაც გარკვეული დროის მანძილზე ჩაისახა, განვითარდა და ჩამოყალიბდა განსაზღვრულ გეოგრაფიულ რელიეფზე.

ეს ურბანული მონაკვეთი არის – ისტორიულად ჩამოყალიბებულ არქიტექტურულ-გეგმარებით საფუძველზე XX ს-ის მეორე ნახევარში ჩატარებულ სარეკონსრუქციო-სარეგენერაციო და საადაპტაციო სამუშაოების პროდუქტი.

ამ უბნისათვის წამყვანი არქიტექტურული ერთეულებია ფილარმონიის შენობა და მსხვილმასშტაბიანი სახლებით (51-ე სკოლა, საცხოვრებელი სახლები მელიქიშვილის, კოსტავას და ნ. ნიკოლაძის ქუჩებზე) შემოფარგლული ფართო სივცითი არეები.



მოედანი ფილარმონიის წინ

ამიტომ უბნის ძირითად არქიტექტურულ მახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს XX ს-ის შუა ხანების თბილისისთვის ჩვეული კლასიცისტური და ქართული ეროვნული მოტივებით შეჯერებული, მონუმენტური ქალაქთმშენებლობითი სტილი.



სახლები №27 და №35 და მოედანი ფილარმონიის წინ

ამავე დროს, აქვე თანაარსებობს ამ მსხვილი სივრცობრივ-მოცულობითი ერთეულების შემარბილებელი ფორმები – XIX ს-ის დასაწყისის ეკლექტიკურ ფასადებიანიანი სახლები (რომელთა შორის ერთ-ერთია ჩვენს მიერ განსახილველი სახლი №27) და კამერული სკვერი ვერის ბაღის შესასვლელთან. მთელი ეს კომპოზიცია კარგად არის გათვლილი და მიუხედავად სხვადასხვა სტილისტური ფორმების თანაარსებობისა, დასრულებული არიტექტურული სახე აქვს.

ამიტომ აქ ნებისმიერი ახალმშენებლობითი საქმიანობის ჩატარებისას აუცილებელია ისეთი მოცულობითი სახეცვლილებების განხორციელება, რომელიც ასევე კარგად იქნება გათვლილი, შეესაბამება უბნის ხასიათს და უმტკივნეულოდ ჩაეწერება ისტორიულად ჩამოყალიბებულ განაშენიანებაში.





ფენოგის თავდაპირველი სახე, XX ს-ის დასაწყისი

თვით საპროექტო ნაგებობა არქიტექტურული ძეგლია და წარმოადგენს მატერიალური კულტურის მნიშნელოვან ერთეულს. თუმცა შეცვლილია ამ სახლის თავდაპირველი სახე და მისი გარკვეული მონაკვეთები ადაპტირებული სტრუქტურებია. ახალი სამშენებლო მასალით არის აგებული და განახლებული სახე აქვს ფასადს ეზოს მხრიდან – მოწყობილია ლითონის ახალი აივნები გრძელ ფასადზე, იქვე გვერდით მოხსნილია ხის მოკლე აივანი და მის მაგივრად შექმნილია კონსტრუქტივისტული ტიპის კიბის უჯრედი, მოწყობილია ლითონის ალათებიანი ერკერი მოკლე ფასადზე ბაღის მხარეს, სახეცვლილია მთავარი ფასადის I სართულის ღიობების ალათებიც და სადარბაზო კარი, ასევე გვერდიდან მიდგმული აქვს მოცულობა სარეკლამო ფირნიშისათვის. ამიტომ აქ მცირე ცვლილება და ადაპტაციის გაგრძელება შესაძლებლად მიგვაჩნია, ვინაიდან აქ ცვლილებები მუდმივად მიმდინარეობდა ახალი ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად. ოღონდ ნებისმიერი ცვლილება კვლავ ევოლუციური უნდა იყოს და არ უნდა შექმნას მკვეთრი დისონანსი აქ უკვე არსებულ გარემოსთან.



სახლი №35 კოსტავას ქუჩიდან



ვერის ბაღის მხრიდან

აქ არ უნდა გამეორდეს გვერდითი სახლის (№35) შემთხვევა, როდესაც მესამე სამანსარდო სართულის დაშენებისას არ იქნა გათვალისწინებული უბნის ურბანული ფასეულობები და უხეშად დაშენებულმა სართულმა გააფუჭა ხედი ბაღის მხრიდან მიუხედავად იმისა, რომ არ ჩანს კოსტავას ქუჩიდან.

ამგვარად, ვინაიდან ნაგებობის ნაწილი უკვე ადაპტირებულია და სარეკლამო ფირნიში მთლიანად დაფარავს მის გვერდით ფასადს, შესაძლებლად მიგვაჩნია მისი რეკონსტრუქცია, იმ პირობით, რომ შენარჩუნდება ამჟამად არსებული სახლის ფასადები, ხოლო ვიზუალურად ნაკლებად აქტიური დაშენებული მოცულობა არ დათრგუნავს აქამდე არსებულს და არ გამოჩნდება ქუჩიდან.

ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოება რომ ნაგებობა დგას ბაღის ტერიტორიის მიმდებარედ და ახალმა მოცულობამ და ფორმებმა არ უნდა დაარღვიოს ამ ბაღისთვის დამახასიათებელი სიმყუდროვე.

აქ მნიშვნელოვანია, თუ რა მხატვრული ღირებულების მქონე ახალი მოცულობა დაემატება და აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული მშენებლობის ხარისხი.

ხელოვნებათმცოდნე – **გია ჭანიშვილი**
19. 04. 2006

საპროექტო ობიექტის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევის დანართი

თბილისი, კოსტავას ქ. №27



ხედი კოსტავას ქუჩიდან, 2007წ.



კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ ძეგლის სააღრიცხვო ბარათი № 010105413

1. სახელწოდება - სასტუმრო "შუშა"
2. ადგილმდებარეობა / მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა 27
3. სახეობა - არქიტექტურის
4. თარიღი - მე-20 საუკუნის დასაწყისი

ძეგლის ბარათი, 2007წ

2006 წლის აპრილში ჩვენს მიერ შესრულდა საპროექტო ობიექტის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა, კოსტავას ქ. №27 საცხოვრებელი სახლის (შემდგომში „მუზა“) რეკონსტრუქცია ადაპტაციასთან დაკავშირებით.

ნაშრომში შესწავლილია ამ მიკრო უბნის ისტორიულ-არქიტექტურული ასპექტები, გამოტანილია დასკვნები და შესაბამისი რეკომენდაციები, სადაც ზოგადად დასაშვებად მივიჩნიეთ სახურავის მოდიფიცირება კვლევაში აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით (იხ. ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა).

დღეს მიმდინარეობს ნაგებობის რეკონსტრუქცია და საჭირო გახდა პროექტის კორექტირება. ამიტომ, ამჯერად გთავაზობთ კვლევის დანართს, რომელშიც შევეცდებით შევიმუშაოთ რეკომენდაციები ახალ მოთხოვნათა გათვალისწინებით.

შემსრულებელი:
ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი

შ პ ს
„ძველი უბანი“
მარტი
2018

ადგილმდებარეობა

საპროექტო ობიექტი მდებარეობს თბილისის ისტორიული ნაწილის ვერეს უბანში, **კოსტავას ქუჩაზე,** ვერის ბაღის შესასვლელთან. აქ დგას **სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი №27.** 1970-იან წლებში ჩატარებული უბნის რეკონსტრუქციის დროს კოსტავას ქუჩაზე დაინგრა ამ სახლის მომდევნო რამდენიმე შენობა და ვერის ბაღი გაიხსნა ფართო პლანით, რომლის წინ მოეწყო ვრცელი მოედანი. **ამჟამად განსაზღვრულია რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი შენობის პროექტის კორექტირება.**



თბილისის არქიტექტურული ძეგლების რუკა (ფრაგმენტი)



არქიტექტურულ ძეგლად აღრიცხულია:

საცხოვრებელი სახლები – კოსტავას ქუჩაზე №№25,27,29,41 . . .

საცხოვრებელი სახლი – ნ. ნიკოლაძის ქუჩაზე №10;
ფილარმონიის შენობა – მელიქიშვილის ქუჩა №1;
.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის № 3/181 ბრძანების დანართი №1

რუკა შედგენილია თბილისის საყრდენი გეგმის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით, „გეოფრაფიკის“ მიერ, 2007 წ.



ფასადი კოსტავას ქუჩიდან, 2010წ.



ფასადი კოსტავას (ოლღას) ქუჩიდან, 1910წ.

შენობა წარმოადგენს XXს-ის დასაწყისში აგებულ აგურის სამსართულიან ნაგებობას. ქუჩის პირზე გამოდის მოდერნის ტიპის ფასადი პროფილირებული მართკუთხა ღიობებით და ლითონის კიდული აივნებით. ზემოთ იკვრება პროფილირებული პარაპეტით, რომელიც ფლანგებზე ამაღლებულია ფრონტონის მაგვარი წანაზარდებით. ფასადის მხატვრულ სახეს განსაზღვრავს მოდერნისტული სტილიზებული ფორმები და ბაროკოული კვეთილი სახეები (მასკარონები, როკაილები). სტილიზებული ფორმები სიმეტრიულად არის განაწილებული და ფასადს ანაწევრებს, როგორც თარაზულად, ასევე შვეულადაც. შემორჩენილია ლითონის აივნები და აივანზე გასასვლელი კარების თავდაპირველი ალათები. ამ სახლის სახე შემორჩენილია XXს-ის დასაწყისის სააქივო ფოტოზე, რომელზეც ბუნდოვნად გაირჩევა სადარბაზო და მართკუთხა ღიობები პირველ სართულზე.

სადარბაზოს შესასვლელში ამჟამად ლითონის ალათებიანი მინის ახალი კარია. ასევე განახლებულია მინის ვიტრინებით I სართულის ფართო ღიობები. ფასადი ახლახანს არის შეკეთებული და დაფერილია ღია სალათისფრად.

ეს ნაგებობა რუსული Г-ს ფორმის გეგმარებითი სტრუქტურით, სიმეტრიაშია გვერდით მდგომ სახლთან (№35) და ვერის ბაღიდან გამიჯნულია მაღალი გალავნით. ეზოს ფასადის გრძელი მონაკვეთის სართულებზე ჰქონდა მოგვიანებით დამატებული ლითონის გალერეა-აივანია. ასევე გვიან იყო დამატებული მოკლე შვერილის ფასადზე, ვერის ბაღის მხარეს რკინა-ბეტონის შემინული ერკერი.

მოედნისკენ გამომავალი გვერდითი ფასადი ყრუა, რადგან ამ მხრიდან თავდაპირველად მიდგმული იყო მეზობელი ნაგებობა. რამდენიმე ათეული წელია რაც ამ მოკლე ფასადზე სარეკლამო ფართო ფირნიში იყო გაკრული (1970-იან წლებში მეზობელი შენობის აღების შემდეგ). ბოლოს კი ციფრული სარეკლამო ეკრანი იყო დამონტაჟებული.

შენობა №27 XX ს-ის დასაწყისის ნაგებობაა, რომელიც თავისი მასშტაბითა და მხატვრული სახით კარგად ეწერება ქუჩის განაშენიანებაში.

ამჟამად მიმდინარეობს ნაგებობის რეკონსტრუქცია. დაშლილია ნაგებობის უკანა მხარე და გადახურვა. გაჩნდა კორექტირების საჭიროება რაც მდგომარეობს შემდეგში.

საჭიროა ლითონის ექვსივე აივნის რეაბილიტაცია ქუჩის ფასადზე;

არსებობს მოსაზრება, რომ უნდა დაიშალოს შუა საყრდენი კედელი სარდაფის დონის ჩათვლით და მოეწყოს ხელახლა;

გასარკვევია შესასვლელი სადარბაზოს ღიობის ზომებისა და ვესტიბიულის უკანა თაღის ფორმის საკითხი;





შუა კედელი ბაღის მხრიდან, 2018წ.



შუა კედელი და ვესტიბიულის თაღი ინტერიერიდან.



შიდა ღიობი კიბის უჯრედში, 2018წ.



წინა კედელი ინტერიერიდან, 2018წ.



კიბის უჯრედი, 2018წ



ფასადი ჭუჩის მხრიდან, 2016წ.



დაზიანებული საფასადო ლითონის აივნები, 2018წ.



რეკონსტრუქციის პროცესი, 2018წ.

დასკვნა და რეკომენდაციები:





განახლებული ღიობები, 2010წ. განახლებული სადარბაზო, 2015წ.

ამგვარად, ამ ნაგებობის დღევანდელი სახე ისტორიული და მხატვრულ-არქიტექტურული ევოლუციური ფაქტორების შედეგია და ცვლილება შეიძლება ისევ მოხდეს.

მიგვაჩნია, რომ რეკონსტრუქციის კორექტირების მოთხოვნები შესაძლებელია განხორციელდეს, ოღონდ სასურველია გათვალისწინებული იყოს შემდეგი მეთოდოლოგიური რეკომენდაციები:

– იმ შემთხვევაში თუ შუა კედლის დაშლა (სარდაფის ნაწილის ჩათვლით) აუცილებელი შეიქნება შესაბამისი კვალიფიციური კონსტრუქციული დასკვნის საფუძველზე, მნიშვნელოვანია ეს კედელი და მიმდებარე მონაკვეთი აიზომოს ზუსტი „არქეოლოგიური ანაზომით“ და დაშლის შემდეგ აეწყოს ზუსტად იგივე სახით (ბუნებრივია კედლის შიდა მასის ტექნოლოგიური გამაგრების დაშვებით);

– სასურველია, რომ შენარჩუნებული იყოს ამ კედლის პერპენდიკულარულად მიმართული კიბის უჯრედის შიდა კედელი მასში არსებული მრუდწრეთარგოვანი ღიობით;

– კიბის უჯრედში გამავალი ვესტიბიულის ღიობის თაღი შუაში გაჭრილია და ამაღლებულია მართკუთხა ფორმით. ეს ალბათ გვიანი გადაკეთების შედეგი უნდა იყოს. ღიობის ამ ფორმით შენარჩუნება პრობლემა არ უნდა იყოს. იმ შემთხვევაში კი, თუ იქნება თაღის აღდგენის სურვილი, აუცილებელია მისი ფორმის თავდაპირველი სახე გაირკვეს ზონდაჟით და სავარაუდოდ 1980-იან წლებში ჩატარებული რეკონსტრუქციის მასალების კვლევით;

– იგივე მიმართებით უნდა განვიხილოთ ფასადის მარჯვენა ფლანგში არსებული სადარბაზო შესასვლელის ფორმისა და პროპორციის საკითხი, თუ გადაწყდა მისი ცვლელება. აქაც გასაკეთებელია ზონდაჟები და დასადგენია შესასვლელი ღიობის წირთხლების და ზედანის თავდაპირველი სახე. სხვა შემთხვევაში შასაძლებელია დავტოვოთ არსებული სახით;

– ვინაიდან ლითონის აივნები დაზიანებულია, შესაძლებლად მიგვაჩნია მათი მოხსნა და ფორმებით, მხატვრული სახით და პროპორციებით ზუსტი ანალოგების კვლავ მოწყობა;

იმ შემთხვევაში თუ განსაზღვრული იქნება ვიტრინების და შესასვლელის მხატვრული სახის შეცვლა გასათვალისწინებელი იქნება შემდეგი გარემოებები:

– როგორც ჩანს, უბნის რეკონსტრუქციის დროს ეს ნაგებობა გადააკეთეს და გვერდიდან მიადგეს მოცულობა სარეკლამო ფირნიშისათვის. სადარბაზოს შესასვლელში ჩადგეს ლითონის ალათებიანი მინის ახალი კარი. ასევე განაახლეს მინის ვიტრინებით I სართულის ფართო ღიობები და გააწყვეს ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი მხატვრულ-არქიტექტურული სტილით.

– ვიტრინათა დღევანდელი გაფორმება არქიტექტურული თვალსაზრისით არ არის ღირებული და იგი არ არის არქიტექტურული ძეგლის შემადგენელი ნაწილი. ამიტომ ახალი ცვლილება შესაძლებელი ჩანს. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ვიტრინების სტრუქტურა არ არის ფასადის გაფორმების თავდაპირველი ატრიბუტი იგი ასრულებს გარკვეულ მხატვრულ ფუნქციას ფასადის საერთო სახის ერთიანი აღქმისათვის. ამიტომ სასურველია ახალი ვიტრინის საფასადო სახეში გათვალისწინებული იყოს აქ არსებული არქიტექტურული რეალიები – კერძოდ ვიტრინას არ უნდა ჰქონდეს ერთიანი სიბრტყე, მინა უნდა იყოს სხვა ვიტრინების მინის ადექვატური, ხოლო ვიტრინის ალათები სასურველია გაყოფილი იყოს შვეულად, რათა შენერჩუნდეს რიტმი და დინამიკურობა.. აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული მშენებლობის ხარისხი;

– სასურველია სარეკლამო ფირნიშებისა და სხვა საფასადო ატრიბუტების დამატების შემთხვევაში ეს მცირე ფორმები დატანილი იყოს კორექტირების პროექტში;

– ასევე სასურველია ყველა ახალი მოცულობის სახის ჩვენება ფოტომონტაჟით მეტი თვალსაჩინოებისთვის, რამდენიმე რაკურსით, ინტერიერის ცვლილებების ან ვიტრინების სილუეტის სრულყოფილად აღსაქმელად ქუჩის ერთიან პანორამაში.

ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი

12. 03. 2018